პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997, გვ. 21) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 391-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 ნაწილი:

„1^1. საკასაციო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. საკასაციო საჩივარი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს.“;

ბ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„5. საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებზე დასაშვებია, თუ კასატორი სათანადოდ დაასაბუთებს (თანდართული მასალებით), „რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

Formatted: Font: 14 pt

Formatted: Font: 14 pt, No underline, Font color: Auto

Formatted: Font: 14 pt

Formatted: Font: 14 pt, No underline, Font color: Auto

Formatted: Font: 14 pt

Formatted: Font: 14 pt, No underline, Font color: Auto

Comment [T1]: ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის R (95) რეკომენდაციით კასატორს უნდა ეკისრებოდეს ვალდებულება დაასაბუთოს თუ რატომ უნდა განიხილოს მისი საჩივარი მესამე ინსტანციამ. (იხ. მუხ. 7.c)

Formatted: Font: 14 pt, No underline, Font color: Auto

Formatted: Font: 14 pt

Formatted: Font: 14 pt

Comment [A2]: ვფიქრობთ, რომ კანონპროექტში მოცემული ფორმულირება, რომ „საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავსი კატეგორიის საქმეზე გადაწყვეტილება არ ჰქონია მიღებული“ მძიმე ტვირთს აკისრებს კასატორს. კერძოდ მან უნდა შეისწავლოს საკასაციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება, რათა სათანადოდ დაასაბუთოს რომ ასეთი კატეგორიის საქმე უზენაეს სასამართლოში ჯერ არ ყოფილა განხილული.

აქედან გამომდინარე უპირატესობა უნდა მიენიჭოს წინამდებარე ფორმულას.

Formatted: Font: 14 pt

Formatted: Font: 14 pt

Comment [A3]: ტერმინი „მსგავსი კატეგორიის საქმე ბუნდოვანია და უმჯობესია ფორმულა „მსგავს სამართლებრივ საკითხზე“

Formatted: Font: 14 pt

Formatted: Font: 14 pt

გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ~~მსგავსი კატეგორიის საქმეზე/საქმეებზე~~მსგავს სამართლებრივ საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

დ) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ე) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავსი კატეგორიის საქმეზე/საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას.~~პრეცედენტულ სამართალს;~~

ვ~~დ~~) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.“.

2. 395-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

3. 396-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

„4. საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მომხსენებელი მოსამართლე აღნიშნულ საკითხს წყვეტს ზეპირი განხილვის გარეშე.“.

4. 401-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 401. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

1. საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 3 თვის ვადაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი

Formatted: Font: 14 pt, No underline, Font color: Auto

Formatted: Font: 14 pt, No underline, Font color: Auto

Formatted: Font: 14 pt

Formatted: Font: 14 pt, No underline, Font color: Auto

Formatted: Font: 14 pt

Formatted: Font: 14 pt, No underline, Font color: Auto

Formatted: Font: 14 pt

Formatted: Font: 14 pt, No underline, Font color: Auto

ამ კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, იგი დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

2. ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. კოლეგია უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი განხილვის გარეშე. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების განხილვისას მოსამართლის განსხვავებული აზრის დაფიქსირების შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი დასაშვებად ითვლება.

3. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში განჩინება უნდა შეიცავდეს კასატორის მიერ მითითებული დასაშვებობის საფუძვლების არგუმენტირებულ უარყოფას.

4. თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2016 წლის 01 იანვრიდან.~~გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.~~

საქართველოს პრეზიდენტი *გ. მარგველაშვილი*

Formatted: Font: 14 pt

Formatted: Font: 14 pt, No underline, Font color: Auto

Formatted: Font: 14 pt, No underline

Formatted: Font: 14 pt, No underline, Font color: Auto

Comment [T4]: იხ. მოსამართლეთა ერთობის მოსაზრება

Formatted: Font: 14 pt

Comment [A5]: „დ“ ქვეპუნქტში მითითებული საფუძვლების არგუმენტირებული უარყოფა გულისხმობს საქმის განხილვის არსში შესვლას, რაც ცდება დასაშვებობის შემოწმების ფარგლებს.

როგორც ვენეციის კომისიამ ამ კანონპროექტის შეფასებისას მიუთითა, ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლი არ ითხოვს მესამე ინსტანციაში საჩივრის დაუშვებლობის საფუძვლების დეტალურ დასაბუთებას, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ კასატორის არგუმენტებს უკვე გაეცა პასუხი სააპელაციო ინსტანციაში (იხ. პარ. 50) საქართველოს აქვს უფლება საკასაციო ინსტანციაში დააწესოს უფრო მაღალი სტანდარტი ვიდრე ამას კონვენციის მე-6 მუხლი ითხოვს, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს მოსამართლეთა გადატვირთულობა და საქმისწარმოების გაჭიანურება დასაშვებობის სტადიაზე (იხ. პარ. 51)

Formatted: Font: 14 pt

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია სასამართლო სისტემის რეფორმირების შემდგომი აუცილებლობით. მისი შემუშავება გამოიწვია უზენაესი სასამართლოს როლის გაზრდისა და შესაბამისად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლების ცვლილების საჭიროებამ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებებათა პაკეტი, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილების პროექტი, გაგზავნილ იქნა ვენეციის კომისიაში, რომელმაც დადებითად შეაფასა მიმდინარე რეფორმის ძირითადი პრინციპები. ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და მოსაზრებები გაზიარებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლების გაფართოება, რაც მომავალში უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიების განმტკიცებას და მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდას.

დღეისათვის დამკვიდრებული პრაქტიკის განზოგადების შედეგად ირკვევა, რომ უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრების დასაშვებობის მოქმედი საფუძვლებით საკმაოდ იზღუდება საკასაციო ინსტანციაზე ხელმისაწვდომობა. წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს დასაშვებობის საფუძვლების გაფართოებას და დახვეწას, თუმცა, ინარჩუნებს იმ მიდგომას, რომ უზენაესი სასამართლო მხოლოდ მნიშვნელოვან საქმეთა განმხილველი სასამართლო ინსტანციაა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლი განსხვავებულად აწესრიგებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს. კერძოდ, ერთის მხრივ ფართოვდება და ზუსტდება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები, მეორეს მხრივ, თავად კასატორს ეკისრება ვალდებულება

სათანადოდ დაასაბუთოს საჩივრის დასაშვებობა; შემოთავაზებული ცვლილებებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებია თუ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ან საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; ასევე თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავსი კატეგორიის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას; უცვლელად დარჩება დაუსწრებელი გადაწყვეტილებების გასაჩივრების საკითხი.

გასათვალისწინებელია რომ, დამკვიდრებული პრაქტიკით, იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო საკასაციო საჩივარს დაუშვებლად ცნობს, მხარეს არ განემარტება დაუშვებლობის მიზეზები და ხშირად გაუგებარი რჩება ის საფუძველი, რამაც განაპირობა საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა. კანონპროექტით ეს პრობლემაც აღმოიფხვრება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის ცვლილების თანახმად, სასამართლო ვალდებული იქნება საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ გამოიტანოს დასაბუთებული განჩინება, რომელიც უნდა შეიცავდეს კასატორის მიერ მითითებული დასაშვებობის საფუძვლების არგუმენტირებულ უარყოფას. მსგავსი მოთხოვნა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა კასატორი მიუთითებს მატერიალური და საპროცესო ნორმების მნიშვნელოვან დარღვევას, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. აქ მითითებული საფუძვლის არგუმენტირებული უარყოფა ნიშნავს საქმის განხილვის არსში შესვლას, რაც ცილდება დასაშვებობის ფარგლებს.

წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით საჩივარი დასაშვებია აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ დასაშვებობის საკითხის განხილვისას მოსამართლემ განსხვავებული აზრი დააფიქსირა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ცვლილებას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსური შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებისას კონსულტაციები იქნა გავლილი საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან, შესაბამის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კანონპროექტში ასევე გათვალისწინებულია ვენეციის კომისიის დასკვნაში გამოთქმული რეკომენდაციები და მოსაზრებები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

მუხლი 391. საკასაციო საჩივრის შეტანა

1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ საკასაციო სასამართლოში.

2. (ამოღებულია).

3. საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ ამ ღირებულების ოდენობა ეჭვს იწვევს, საკასაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს.

4. არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე.

5. საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებზე დასაშვებია, თუ:

ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

6. სამოქალაქო საქმეებზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე.

მუხლი 395. საკასაციო საჩივრის შეტანა

საკასაციო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. საკასაციო საჩივარი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 396. საკასაციო საჩივრის შინაარსი

1. საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი;

ბ) იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;

გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების დამდგენ სასამართლოზე;

დ) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;

ე) მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, გასაჩივრების საფუძვლებს (კასაციის მიზეზები) და განმარტებას იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებასა თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი);

ვ) მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება;

ზ) საკასაციო საჩივარზე დართულ წერილობითი მასალების ნუსხას;

თ) საკასაციო საჩივრის შემტანი პირის ხელმოწერას.

2. წარმომადგენლის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარს უნდა დაერთოს მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას საკასაციო საჩივრის შეტანაზე, თუ ასეთი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი არ არის საქმეში.

3. თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

მუხლი 401. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

1. საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლის მოთხოვნებს, იგი წარმოებაში მიიღება ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებს მომხსენებელი მოსამართლე წყვეტს ზეპირი განხილვის გარეშე.

3. ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. კოლეგია უფლებამოსილია,

აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი განხილვის გარეშე. დასაშვებობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

4. თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.